ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

PAR-ის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით

განხორციელების ვადა: 10.10.2019 - 10.10.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 449 492

მთლიანი ბიუჯეტი: € 449 492

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
www.facebook.com/IDFI.official/

პროექტის ვებსაიტები: www.idfi.ge

პროექტის აღწერა:

საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ რეგიონების ჩართულობა და მონაწილეობა აუცილებელია რეფორმის განხორციელებისთვის.
პროექტი უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგისა და გადახედვის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას ინოვაციების, შესაძლებლობების გაძლიერების და დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის მეშვეობით.
პროექტი ოთხი ძირითადი კომპონენტის ირგვლივაა კონცენტრირებული: პოლიტიკის შექმნა, ანგარიშვალდებულება, საჯარო მმართველობა და სერვისების მიწოდება. ხდება რეფორმის განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რაც გადახედვის საშუალებას იძლევა. ტარდება შეფასებები, რომელიც ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშების სახით მზადდება და ავსებს და ამოწმებს მთავრობის მიერ რეფორმის განხორციელებაზე მომზადებულ ანგარიშებს. შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენასთან ერთად პროექტის გუნდი იკვლევს მიზეზებს და გაუმჯობესების გზებს თავაზობს.
პროექტის ფარგლებში მზადდება ონლაინ მონიტორინგის პლატფორმა - PAR Tracker - სადაც აისახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები; რეფორმის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მისაწვდომი ხდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- გადამზადებული 11 სამოქალაქო ორგანიზაცია საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში
- მომზადებული ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშები
- პრობლემური საკითხები გამოვლენილი PAR Tracker მეშვეობით და შემუშავებული პოლიტიკის რეკომენდაციები
- სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი PAR საბჭო
- ეფექტური მონიტორინგის მექანიზმით და კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის სპეციფიკური ინფორმაციით აღჭურვილი სამოქალაქო ორგანიზაციები.